ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
№GSH230202

ქ. თბილისი 23 თებერვალი 2021 წელი

ერთის მხრივ სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის შალვა ურიადმყოფელის სახით და მეორეს მხრივ შპს „პროსერვისი” (შემდგომში ”მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის რევაზ ნატროშვილის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” (შემდგომში - ”ხელშეკრულება”) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი-შემსყიდველს.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება” - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.
1.3. „დღე” , ”კვირა”, ”თვე” - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი” - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი” - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „მომსახურება” - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
1.7. „ელექტრონული ხელმოწერა” – ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის ხელმოსაწერად გამოიყენება;
1.8. „ელექტრონული შტამპი” – ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის მთლიანობისა და წარმომავლობის სისწორის დასადასტურებლად გამოიყენება;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით დომეინური სახელის (LTA-FINANCE.GE) სახელმწიფო შესყიდვა (შემდგომში – მომსახურება) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
2.2. ხელშეკრულების საგნის კლასიფიკატორის კოდი: CPV 72417000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **30 (ოცდაათი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.
3.2. მომსახურების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერიდან და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული სამსახურის IT (აიტი) სპეციალისტი ზურაბ თოდაძე.

5. მომსახურების გაწევის ვადა

5.1 მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 24 თებერვლის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევისას განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.1 პუნქტში.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

8.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

8.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

8.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ნაწილობრივი შესრულების ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის

შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
8.5. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.
8.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
9.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
10.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. შეტყობინების განხორციელება

12.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

12.2. ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მხარეთა უფლებამოსილი პირები არიან: შემსყიდველის მხრიდან - ლაშა პაპელიშვილი (ტელ.: 599 88-88-96; ელ. ფოსტა: lpapelishvili@lta.gov.ge); მიმწოდებლის მხრიდან - (ტელ. 322 43-00-44, ელ. ფოსტა contact@proservice.ge).

12.3. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12.4. მიმწოდებელი ვალდებულია, წინამდებარე მუხლში მითითებული მონაცემების ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაგზავნილი ინფორმაცია ჩაითვლება სათანადო წესით მიწოდებულად.

13. დამატებითი პირობები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

13.2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი პირების ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით.

შემსყიდველი:
სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16
საიდ. კოდი: 205297935
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში №707217057

დირექტორი
შალვა ურიადმყოფელი

მიმწოდებელი:
შპს „პროსერვისი “
მის: ქ.თბილისი, ი.აბაშიძის N42
ს.ს. "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
საიდ. კოდი: 204929168
ა/ა GE28TB0600000303467561

დირექტორი
რევაზ ნატროშვილი